საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/90

ქ. ბათუმი 04 მაისი, 2023 წელი

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" (მე-3 დონე, 2022 წლის საშემოდგომო მიღება) პროფესიულ სტუდენტთა შუალედური შეფასების კომისიის ჯგუფის შექმნის, შეფასების ადგილის და დროის განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის N01-08/986 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" (მე-3 დონე, 2022 წლის საშემოდგომო მიღება) ადმინისტრირების ჯგუფის შექმნის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 11 აპრილის N01-02/69 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2023 წლის 02 მაისის № 486994 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა"** (მე-3 დონე, 2022 წლის საშემოდგომო მიღება) **პროფესიულ სტუდენტთა** შეფასების მიზნით შეიქმნას შუალედური შეფასების კომისია და განისაზღვროს შეფასების ჩატარების დრო და ადგილი, კერძოდ:

1.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" (მე-3 დონე, 2022 წლის საშემოდგომო მიღება) პროფესიული სტუდენტის შეფასების მიზნით **შეიქმნას შუალედური შეფასების კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

ა) **გულადი ფარტენაძე** - პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" ხელმძღვანელი;

ბ) **ირაკლი ფილია** - პროფესიული განათლების მასწავლებელი;

გ) **ზურაბ გიორგობიანი** - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ქსელის ადმინისტრატორი;

დ) **კახაბერ კეჟერაძე** - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;

ე) **არჩილ ბუქიძე** - ვილმარტის მაღაზიათა ქსელის IT მენეჯერი;

ვ) **მალხაზ თავდგირიძე** - შპს ,,საბატას" დირექტორი.

1.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" (მე-3 დონე, 2022 წლის საშემოდგომო მიღება) შუალედური შეფასება ჩატარდეს 2023 წლის 05 მაისს, ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15, აუდიტორია N202;

2. შუადედური შეფასების კომისიამ იხელმძღვანელოს ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის N01-08/986 ბრძანებით.**

3. დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს (მამუკა გოგელიას) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შუალედური შეფასების ადგილისა და თარიღის შესახებ.

4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება (პროფესიული პროგრამების ველში).

5. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტს და შიუალედური შეფასების კომისიის წევრებს).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**